

„განკითხვის დღის“ კარადიგმა აღმოსავლეთ და დასავლეთქრისტიანული ტაძრების რელიეფურ ქანდაკებაში

ქეთევან ოჩიკიძე

საკვანძო სიტყვები: ესქატოლოგია, განკითხვის დღე ხელოვნებაში, აპოკალიფსისი, გლობალური მოვლენა, საფასადო ქანდაკება, რელიეფური კომპოზიცია, ტიმპანები

ქრისტიანული აზროვნების წიაღში ფართოდ წარმოდგენილმა ესქატოლოგიურმა სწავლებებმა, ხელი შეუწყო, ქრისტიანულ ხელოვნებაში, ყველაზე გამომსახველობითი კომპოზიციის – „განკითხვის დღის“ ჩამოყალიბებას.

შუა საუკუნეების განმავლობაში გლობალური უბედურებების, ბუნებრივი კატაკლიზმების, ომიანობისა თუ ჟამიანობის დროს, ასევე, ათასწლეულისა და საუკუნეების გასაყარზე, განსაკუთრებით მძაფრდებოდა ესქატოლოგიური აღსასრულის მოლოდინი, რაც ხელოვნებაში აღნიშნული მოტივების გააქტიურებით გამოიხატებოდა. მიუხედავად, სახარებისეული ნარატივისა, რომ დღე განკითხვის დადგომის დრო არავინ უწყის, ქრისტიანული ქვეყნების საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, კონკრეტული გამოთვლების მიხედვით მიღებული, სამყაროს კოსმიური აღსასრულის თარიღები გამოჩნდა.

ათასწლეულების შესრულების (X-XI სს) ახლო პერიოდს ემთხვევა, საქართველოში, „მეორედ მოსვლისა“ და „განკითხვის“ თემაზე რელიეფური გამოსახულებების შექმნა (ჯოისუბანი, სხიერი, არტაანი, სვეტიცხოველი, ნიკორწმინდა). მიმდინარე საუკუნიდან ახალ საუკუნეში გადასვლისადმი შიშნარევი დამოკიდებულება, ევროპულ ხელოვნებაში შუა საუკუნეებშიც გამომჟღავნდა და XX და XXI საუკუნის დასაწყისშიც, ამ დროს მომხდარი გლობალური ტრაგედიების ფონზე. 2020 წელს გამოცხადებულმა მსოფლიო პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა საყოველთაო მდგომარეობამ, კვლავ წარმოშვა აპოკალიპტური განწყობილება და სამყაროს აღსასრულის მოლოდინი გაამძაფრა.

შუა საუკუნეებში, ზემოაღნიშნულ პირობებში, იქმნებოდა, განკითხვის დღის თემაზე შემქნილი აღმოსავლეთი (ქართული, სომხური, აღმოსავლეთეევროპული - სლავური) და დასავლეთქრისტიანული ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი და სხვ.) საფასადო ქანდაკება, რომელთა კომპოზიციურ-იდეური აქცენტები, ნათლად ასახავს, ორი ქრისტიანული სამყაროს მიმართებას აპოკალიპსისისადმი, როგორც გლობალური მოვლენისადმი. რელიეფური მაგალითების შესწავლის საფუძველზე, ცხადი ხდება, რომ ქრისტიანობის საყოველთაო დოგმატი - ქრისტეს მეორედ მოსვლა, უკანასკნელი მსჯავრი და მისი ესქატოლოგიური საზრისი, ორივე შემთხვევაში, განსხვავებულად არის გააზრებული და თავისებური მხატვრულ-კომპოზიციური აგებულებით გამოირჩევა.

აპოკალიპტური თემებისადმი ინტერესი, მათთან მიბრუნება კაცობრიობის ისტორიის არაერთ პერიოდს ახასიათებს. მეორედ მოსვლის მოლოდინი განსაკუთრებით ძლიერდებოდა, სახარებისეული ნარატივის კვალდაკვალ (მარკოზი 13) – საუკუნეებისა და ათასწლეულების მიჯნებზე, გლობალური უბედურების, ბუნებრივი კატაკლიზმების, ომიანობის, ჭირიანობის, სხვადასხვა სახის შვეიწროებისას, რასაც განიცდიდა რომელიმე ერი კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. დასავლეთ ევროპაში, 1500 წლის

ნებისა და ათასწლეულების მიჯნებზე, გლობალური უბედურების, ბუნებრივი კატაკლიზმების, ომიანობის, ჭირიანობის, სხვადასხვა სახის შვეიწროებისას, რასაც განიცდიდა რომელიმე ერი კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში. დასავლეთ ევროპაში, 1500 წლის

მოახლოებამ, ზემოხსენებულ მიზეზებთან ერთად, სამყაროს აპოკალიპტური აღსასრულის შიში განაახლა.¹ ამით იყო ინსპირირებული ალბრეხტ დიურერის ცნობილი გრაფიკურაა ციკლი „აპოკალიფსისი“, შექმნილი 1498 წელს. ამ მხრივ, არა მხოლოდ ძველი ეპოქებია აღსანიშნავი, არამედ შედარებით ახლო წარსულიც. მაგალითად, XX საუკუნის I ნახევარში, ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებაში მოღვაწე ევროპელი მოაზროვნეების (ფ. ნიცშე, თ. მანი, მ. ბულგაკოვი, ო. მესიანი, ა. შონბერგი) შემოქმედებაში გამოიკვეთა აპოკალიპტური თემებისადმი მიბრუნება. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა, თუ გავითვალისწინებთ იმ ძლიერ რყევებსა და კატასტროფულ ცვლილებებს, რომლებითაც ასე მდიდარი იყო XX საუკუნე. XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მომხდარმა გლობალურმა ტრაგედიებმა (მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები), მსოფლიოს სამყაროს აღსასრულის მოახლოების შეგრძნება გაუღვიძა, აპოკალიფსისის სუნთქვა აგრძნობინა.² ჩვენს დროში, 2020 წელს, საყოველთაო პანდემიის გამოცხადებამ და მასთან დაკავშირებულმა პროცესებმა აღნიშნული თემა კვლავ აქტუალური გახდა. ნიშანდობლივია, რომ პანდემიამ, აპოკალიფსისის მსგავსი ყოვლისმომცველი მასშტაბი მიიღო და გლობალურ გამოწვევად იქცა.

აღნიშნულ კონტექსტში გვინდა გავიხსენოთ, მეორედ მოსვლის თემატიკის შემცველი შუა საუკუნეების ქართული რელიგიური ქანდაკების ნიმუშები, იმავე პერიოდის სხვა ქვეყნების საფასადო სკულპტურასთან მიმართებით. ქრისტიანულ სამყაროში ყოველთვის იყო ძლიერი ინტერესი და მოლოდინი ქრისტეს მეორედ მოსვლის, უკანასკნელი მსჯავრის, ქვეყნის აღსასრულისა თუ მომავალი მარადიული ცხოვრების მიმართ, რაც აისახა კიდევ ქრისტიანულ ესქატოლოგიაში. როგორც აღინიშნა, საუკუნეებისა და ათასწლეულების მიჯნა, გარდამავალი პერიოდები ის დროა, როდესაც ესქატოლოგიური აღსასრულის მოლოდინი მძაფრდება და ხელოვნებაში აღნიშნული

მოტივები აქტიურდება. ქართულ რელიგიურ მქანდაკებლობაში, „დღე განკითხვის“ თემაზე შექმნილი გამოსახულებები ყველაზე აქტიურად სწორედ ათასწლეულის შესრულების ახლო პერიოდში, X-XI საუკუნეებში იქმნება.

სახარებისეული თხრობის მიხედვით, დღე განკითხვის დადგომის დრო არავინ უწყის, „არამედ მხოლოდ მამამ“ (მარკ. 13:32). ამ გარემოებამ აიძულა მორწმუნე ადამიანი განუხრელად ებრუნა სულის გადარჩენაზე და დღემუდამ მზად ყოფილიყო ამ დღისთვის. მიუხედავად ამისა, საბერძნეთისა და ბიზანტიის მნიშვნელოვანი სულიერი კერების საშუალებით, ქრისტიანულ აზროვნებაში ფეხი მოიკიდა მოსაზრებამ, რომლის თანახმად, „ღვთის წინაშე ათასი წელი ერთი დღეა (ფსალ. 89:4) და შვიდი დღის განმავლობაში შექმნილი სამყარო მხოლოდ შვიდი ათასი წელი იარსებებდა, რის შემდეგაც დადგება მისი აღსასრული, იქნება მეორედ მოსვლა და დამყარდება დაუსრულებელი სუფევა ან ცხოვრება“.³ შვიდი ათასი წელი შვიდ საუკუნესთან იყო გაიგივებული, ხოლო მომავალი დაუსრულებელი ცხოვრება მერვე საუკუნეში აღსრულდებოდა. ამ შეხედულების პოპულარობას საქართველოში, ადასტურებს IX-XI საუკუნეებში თარგმნილი რამდენიმე თხზულება,⁴ რომლებიც თვალნათლივ გადმოგვცემენ ზემოაღნიშნული აზრების რწმენად ჩამოყალიბების ფაქტს.⁵ XIII საუკუნის მოღვაწე – აბუსერიძე ტბელი, კიდევ უფრო ავითარებს ამ ცოდნას და თავის ნაშრომში „ქორონიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“⁶, ქორონიკონის გამოთვლის საფუძველზე, შვიდი ათასი წლის შესრულებას და სამყაროს კოსმიური აღსასრულის თარიღად 1396 წელს ასახელებს. ეს თვალსაზრისი საყოველთაოდ იყო მიღებული იმდროინდელ საზოგადოებაში. თხზულების შექმნის პერიოდში, 1233 წლამდე, საქართველო არაერთგზის იყო აოხრებული მონღოლთა და ხვარაზმელთაგან იმგვარად, რომ ჩვენი ფიზიკური თუ სულიერი გადარჩენა კითხვის

1 Hall, Before, 1996, გვ. 9.

2 Риклин, Apocalypse

3 კეკელიძე, ესქატოლოგიური, 1923, N 1, გვ. 59.

4 გრიგოლ ღვთისმეტყველის „თქმული დღისა მისთვის მეერგასისა, რომელ არს მარტვილია“, იოანე დამასკელის „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისად“ (თავი 15), მიტროფანე სმირნელის „თარგმანება ეკლესიასტისად“, წყაროსთავის (უბისის) სახარებაზე მინაწერი იამბიკო XIII საუკუნისა და სხვ.

5 იქვე, კეკელიძე, გვ. 60.

6 აბუსერიძე ტ., თხზულებანი, 1998. გვ. 12- 57.

ნიშნის ქვეშ იდგა.⁷ ამგვარი ისტორიული მდგომარეობის, მასშტაბური ნგრევისა და უბედურებების ფონზე, ქართველთა შორის, აქტუალური გახდა სამყაროს აღსასრულის მოლოდინი.

საინტერესოდ გვესახება განკითხვის დღის რედაქციების მხატვრული გადაწყვეტის წარმოჩენა აღმოსავლეთ და დასავლეთქრისტიანული ქვეყნების საფასადო სკულპტურაში, მათი კომპოზიციურ-იდეური აქცენტების ხაზგასმა, რაც ნათლად გვიჩვენებს, შუა საუკუნეებში ორი ქრისტიანული სამყაროს მიმართებას აპოკალიფსისისადმი, როგორც გლობალური მოვლენისადმი.

ქრისტიანულ ხელოვნებაში, ესქატოლოგიური შინაარსის სიუჟეტების გამოსახვა ქრისტიანობის გავრცელების საწყის ეტაპზე დაიწყო. ეს იყო ანტიკური ხელოვნებიდან ნასესხები და ქრისტიანული შინაარსით შემოსილი ცალკეული სიმბოლური ფიგურები, რომლებიც სახარებისეული იგავების მხატვრულ რეპრეზენტაციად გვევლინებიან და მეორედ მოსვლის ჟამს განკითხვაზე მიანიშნებენ (მწყემსი კეთილი, კრავებისა და თიკნების გარჩევა, გონიერი და უგუნური ქალწულები). დროთა განმავლობაში, ხელოვნებაში, შემუშავდა „დღე განკითხვის“ კომპოზიციის მხატვრული ფორმა, სადაც თავი მოიყარა აღნიშნული შინაარსის მქონე გამოსახულებებმა, ესქატოლოგიური თხზულებების საფუძველზე აღმოცენებულმა, მრავალფეროვანმა სიუჟეტებმა და X საუკუნეში,⁸ განსაკუთრებით ვრცელი და თხრობითი ხასიათის იკონოგრაფიულ რედაქციად ჩამოყალიბდა.

აღსანიშნავია, რომ „დღე განკითხვის“ კომპოზიცია, თავისი მრავალრეგისტრიანობითა და უხვსიუჟეტრიანობით, ერთნაირად სახასიათოა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქრისტიანოს კედლის მხატვრობისთვის, საფასადო კვეთილობაში კი, განსხვავებული მიდგომა ჩანს. დასავლეთევროპული ტაძრების უზარმაზარ ფასადებსა და ვრცელ ტიმპანებზე, უკანასკნელი მსჯავრის ამსახველი რთული რელიეფური კომპოზიციებია განფენილი, მაშინ, როცა აღმოსავლეთქრისტიანული ქვეყნის ეკლესიების ფასადები ლაკონურ რედაქციებს შეიცავს.

ესქატოლოგიური თემებით დაინტერესებას, ქართულ ხელოვნებაში, VI საუკუნის ქვასვეტების რელი-

ეფურ დეკორში ვხედავთ. ბრდაძორის ქვასვეტზე, ღმრთისმშობლის სულის ამაღლების სცენაში ჩართული საყვირიანი ანგელოზი⁹ (რომელსაც უძველეს სკულპტურულ გამოსახულებად მივიჩნევთ ქრისტიანულ ხელოვნებაში) [სურ. 1] მომიჯნავე წახნაგზე ქრისტეს ამაღლების კომპოზიციასთან, ესქატოლოგიური შინაარსით ერთიანდება, ისევე, როგორც ხანდისის ქვაჯვარას ცენტრალური გამოსახულება – ქრისტე პანტოკრატორი და მისკენ მიმართული საცეცხლურიანი ანგელოზი, გვერდითა წახნაგიდან. ორივე შემთხვევაში, საყვირიანი და საცეცხლურიანი ანგელოზები ამუსტებენ კომპოზიციის იდეურ მნიშვნელობას და მეორედ მოსვლის ნიშან-სიმბოლოებად გვეცხადებიან, იოანეს აპოკალიფსისეული ხილვიდან. საყვირიანმა ანგელოზმა, „დღე განკითხვის“ იკონოგრაფიული პროგრამის ერთ-ერთმა არქაულმა ფიგურამ, იმთავითვე შეითვისა აპოკალიპტური კონტექსტი და მოგვიანებით, იმავე თემაზე შექმნილი ქართული რელიეფური კომპოზიციების შემადგენელ აუცილებელ ნაწილად გვევლინება. ბრდაძორისა და ხანდისის ქვასვეტებზე, მსაჯული ქრისტე და მესაყვირე ანგელოზი, ორი ძირითადი კომპონენტია აპოკალიპტური სურათისა.

ათასწლეულის შესრულების მოახლოებასთან ერთად, ქართულ რელიეფურ მქანდაკელობაში ჩნდება სიუჟეტური კომპოზიციები, რომლებიც, აღმოსავლეთქრისტიანული იკონოგრაფიული ტრადიციების შესაბამისად, ლაკონურად, თუმცა, ქვაჯვარებთან შედარებით, მეტი სისრულით ასახავენ ესქატოლოგიურ დოგმატებს.

X საუკუნის I ნახევრით დათარიღებული სხიერის კანკელი რამდენიმე კომპონენტს შეიცავს [სურ. 2]. მთავარანგელოზი გაბრიელი საყვირით, კომპოზიციის იდეის მთავარი განმსაზღვრელი და კანკელზე გამოკვეთილი ცალკეული პერსონაჟების შინაარსობრივად გამაერთიანებელი ელემენტია. სხიერის ოსტატს, კანკელზე სხვა ფიგურების გამოსახვით (მთავარანგელოზი, ქტიტორები, ხუცესი), განკითხვის დღის სურათში, სულის შეწყალების თხოვნის, ზიარების მეშვეობით სულის გადარჩენის მოტივები შემოაქვს. სხიერის კანკელზე, უკანასკნელი ჟამისა და განკითხვის იდეა რამდენიმე თემის აქცენტირებითაა

7 კეკელიძე, იქვე, გვ. 63-64.

8 Покровский, Страшный, 1887, გვ. 285-381; Н. Покровский, Очерки, 1900.

9 მაჩაბელი, ქართული, 2014, გვ. 114-117.

გადმოცემული და არა თხრობითი სიუჟეტით.

არსებულ სურათს ავსებს X საუკუნის I ნახევარში შექმნილი ჯოისუბნის სარკმლის საპირეს კვეთილობა, განკითხვის დღის შედარებით ვრცელი რედაქციით [სურ. 3]. მასზე გამოკვეთილია „დღე განკითხვის“ იკონოგრაფიის შემდეგი კომპონენტები – აღსაყდრებული ქრისტეს მოციქულების – პეტრესა და პავლეს ტრიბუნალი, მთავარანგელოზი საყვირით და ადამიანთა სულების მწონავი ანგელოზი სასწორით. კომპოზიციაში დამატებით შემოტანილი დეკორატიული ფიგურები და სცენები (სარკმლის საპირე შვიდნაწილიანია), ართულებენ რელიეფის სახისმეტყველებით ჩანაფიქრს. დეკორატიული ელემენტების საზრისის მრავალბლასტიანობას ესქატოლოგიური აზროვნების სიღრმეებში მივყავართ. მათი მნიშვნელობის გააზრებით, რელიეფური კომპოზიცია გაცილებით მასშტაბურ შინაარსს იძენს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ჯოისუბნის რელიეფზე წარმოდგენილი ზემოაღნიშნული სამი სიუჟეტი – უკანასკნელი ჟამის ხილული სცენები, ახსენებდა ქრისტიანს მოსალოდნელ მსჯავრს და აფიქრებდა საკუთარ მომავალზე.

აქვე უნდა ვახსენოთ, X-XI საუკუნეებით დათარიღებული კანკელის რელიეფური ფრაგმენტი არტანუდის, სამოთხის კარისა და მისი მცველი ქერუბინის გამოსახულებით.¹⁰ ამ მაგალითით, მეორედ მოსვლის ვიზუალიზაციაში შემოდის სამოთხის სურათი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს თემის იკონოგრაფიაში. ამგვარად, ჩანს, რომ ქართულ მქანდაკელობაში, განკითხვისა და მსჯავრის გარდა, სამოთხის სცენებსაც მიმართავდნენ.

ესქატოლოგიური საფუძველის მქონე სკულპტურული „დეისუსი“ მრავლადაა წარმოდგენილი 963-976 წლებში¹¹ აგებულ ოშკის კათედრალში. ღმრთისმშობელისა და იოანე ნათლისმცემლის ვედრება ქრისტეს მიმართ, განკითხვის დღეს კაცობრიობის შეწყალების გამო, ოშკში განსაკუთრებულადაა აქცენტირებული. ოშკის ქტიტორების (დავით მაგისტ-

როსი და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი) განსაკუთრებული ყურადღება აღნიშნული თემისადმი, მათი გამოკვეთილი სურვილი და თხოვნა საიქიო ცხოვრებაში შეწევნისა, ტაძრის მემორიალურ ფუნქციასთან ერთად (აქ უნდა ყოფილიყო მათი განსასვენებელი), შესაძლებელია, ათასწლეულის მოახლოებული დასასრული გამხდარიყო.¹²

მეორედ მოსვლის რელიეფური მაგალიტები ნიკორწმინდისა (1014) და სვეტიცხოვლის (1010-1027)¹³ ფასადებზე, „ამაღლების“ იკონოგრაფიული სქემით არის გადმოცემული. აღსაყდრებული მსაჯული ქრისტე, ოთხ ანგელოზთან ერთად, საყვირებით, გრაგნილით (?), დოქითა და სეფისკვერით (სვეტიცხოვლის შემთხვევაში) ხელში. აქ, კომპოზიციები, დაცლილია იმ ნარატივისაგან, რაც სხიერისა და ჯოისუბნის შემთხვევაში გვაქვს, თუმცა, იკონოგრაფიულ-შინაარსობრივი ჩანაფიქრი მრავალშრიანია.

განკითხვის დღესთან დაკავშირებული ქართული რელიეფური მაგალიტების მიმოხილვამ დაგვანახა თემის განვითარების დინამიკა. ადრექრისტიანული ხანის ქვაჯვარებზე, კომპოზიციის იდეის მთავარი სიმბოლო საყვირიანი ანგელოზია. რელიეფები გადმოცემულია ლაკონური ენით, მარტივი ფორმითა და რთული შინაარსით. X საუკუნის ნიმუშებში, უკვე ვხედავთ რელიეფთა რთულ შინაარსთან კომპოზიციის ვიზუალური მოდელირების მცდელობას. ამ დროსათვის, ქართულ ენაზე უკვე თარგმნილია ესქატოლოგიური ლიტერატურა, რომელსაც თავისი როლი უნდა ეთამაშა განკითხვის დღის დასურათებაში. ეს გამოსახულებანი, ასე ჩანს, ამზადებენ ქრისტიანებს ათასწლეულის დასასრულთან. XI საუკუნის 10-20-იან წლებში შესრულებულ მაგალიტებში, იკონოგრაფიული რედაქცია კვლავ გამარტივებულია. მოქანდაკე ოსტატები ესქატოლოგიური იდეების მთავარ გამოხატულებად ირჩევენ აღსაყდრებულ ქრისტე-მსაჯულს ანგელოზების გარემოცვაში. კომპოზიციის მხატვრული ენის ძიებაში, „დაიწმინდა წყალი“ და დარჩა ყველაზე ღირებული, მნიშვნელოვანი ელემენტი.

10 გაგოშიძე, რელიეფის, 2012, გვ. 283-287.

11 სილოგავა, ოშკი, 2006, გვ. 102.

12 ბიზანტიაში შიშით ელოდნენ ათასწლეულის შესრულებას. ამასთან დაკავშირებით, იხ.: P. Magdalino, The Year, 2003, pp. 233-270.

13 სვეტიცხოვლის რელიეფში, ვგულისხმობთ, ჩვენ მიერ აღდგენილ კომპოზიციას, რომელიც აღსაყდრებული ქრისტესა და ოთხი ანგელოზისაგან შედგებოდა და XI საუკუნეში ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის ფრონტონის არეში უნდა ყოფილიყო განთავსებული. ამასთან დაკავშირებით, იხ.: ოჩიკვიძე ქ., მოსაზრებები, 2017-2018, გვ. 92-103.

ქრისტიანულ სომხეთში, ესქატოლოგიური შიში დააკავშირებული იყო ათასწლეულის გასრულებასთან, რასაც თან ახლდა ბიზანტიის და სელჩუკების მიერ სომხეთის ნაწილის დაპყრობა და აოხრება. ამ შიშს აძლიერებდა XI საუკუნის 20-30-იან წლებში მომხდარი ორი მზის დაბნელება და მიწისძვრა – აღქმული სამყაროს მომავალი აღსასრულის წინაპირობად. ეს მოვლენები ხელს უწყობდა აპოკალიფსისური ჟანრის თხზულებების გაჩენას, წინასწარმეტყველების სახით.¹⁴ ამგვარმა „ესქატოლოგიურად დამუხტულმა კლიმატმა“¹⁵ განაპირობა, 1038 წელს, ჰორომოს მონასტრის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე) ჟამატუნ-მავზოლეუმის მშენებლობა, მის ოქტაგონურ გუმბათში „დღე განკითხვის“ რელიეფური გამოსახულებით [სურ. 4]. რვა რელიეფური ფილიდან,¹⁶ შვიდი გეომეტრიულ-მცენარეული ორნამენტით არის დაფარული, რომელთა სიმბოლიკა მარადიულობის, უკვდავების, სამოთხის მნიშვნელობისაა. ორი მათგანი ხაჩკარია, გაიგივებული ზეცის კართან, მათ შორის მოთავსებულია მეორედ მოსვლის კომპოზიცია. აღსაყდრებული ქრისტე, აპოკალიფსისის ოთხხატეულ ცხოველებთან და ანგელოზებთან ერთად, ზედა რეგისტრშია, მის ქვემოთ, პეტრე და პავლე მოციქულები და სხვა პიროვნებები არიან, რომელთაც სომხეთის გაქრისტიანებასა და სარწმუნოებრივ მოღვაწეობაში მიუძღვით წვლილი.

ჰორომოს ჟამატუნის რელიეფური კომპოზიცია თეოფანიური შინაარსით, ლაკონური მხატვრულ-იკონოგრაფიული რედაქციით ქართული მაგალითების მსგავსია. ქრისტეს ესქატოლოგიური ტრიუმფი და მსაჯულთა ტრიუმფალი, ჯოისუბნის მსგავსად, ჰორომოს რელიეფზეც აქტუალურია.

მომდევნო საუკუნეებში, სომხურ საფასადო ქანდაკებაში, კვლავ მიმართავენ ესქატოლოგიურ თემატიკას. ესენია, ბიბლიური პარაბოლა გონიერი და უგუნური ქალწულების შესახებ, ქრისტეს, პეტრესა და პავლეს ტრიუმფალი, სამოთხის მცველებად გააზრებული მოციქულები და სხვ.

სლავური ქვეყნების ხელოვნებაში, აპოკალიპტური წარმოდგენები ყველაზე უკეთ მონუმენტურ

მხატვრობაში გამოვლინდა. რუსეთსა და სამხრეთ სლავურ ქვეყნებში, დიდი ინტერესით სარგებლობდა და ძალზე პოპულარული იყო X საუკუნის ესქატოლოგიური შინაარსის მქონე ბერძნული ლიტერატურული ძეგლი „ბასილი ახალის († 944 ან 952) ცხოვრება“. მასში, წვრილად იყო მოთხრობილი სულის მოგზაურობა ჯოჯობეთის საზვერებში. ნაწარმოები მალევე უთარგმნიათ რუსულ და სხვა სლავურ ენებზე X-XI საუკუნეებში¹⁷ და იმდენად დიდი გავლენა და მასშტაბი შეიძინა, რომ ხალხურ ფოლკლორშიც აისახა. საყოველთაო ინტერესი და მოლოდინი უკანასკნელი ჟამის დადგომისა, XII საუკუნიდან აქტუალურად იქნა გააზრებული რუსულ ფერწერასა და ხატწერაში, სადაც განკითხვის დღე და საშინელი სამსჯავრო ვრცელი იკონოგრაფიული რედაქციებით არის წარმოდგენილი.

რუსულ რელიეფურ კვეთილობაში, ესქატოლოგიური თემები „დეისუსის“ ფორმით, სულის შეწყალების, მესარჩლეობის იდეით გადმოიცა [სურ. 5]. ვლადიმირის წმინდა დიმიტრი სოლუნელისა (1194-1197) და იურევ-პოლსკოეს წმინდა გიორგის ეკლესიის (1230-1234) ფასადებზე „ვედრების“ (11, 7, 5 ფიგურა) რელიეფები უფლის დიდებისა და ტრიუმფის, ქვეყნის მმართველთა განდიდების მხატვრული პროგრამის კონტექსტშია ჩართული. ამ მხრივ, რუსული ტაძრების საფასადო ქანდაკებები ოშკის კათედრალის ესქატოლოგიურ პროგრამას უახლოვდება.

სერბეთში, 1327-1335 წლებში აგებული, ვისოკი დეჩანის ტაძრის დასავლეთ ფასადის ტიმპანის რელიეფი, ქრისტეს თეოფანიის თავისებურ რედაქციას შეიცავს [სურ. 6]. ესაა ქრისტე პანტოკრატორი ანგელოზებს შორის. მათგან ერთ-ერთს, მეორედ მოსვლის მუწყებელი საყვირი უნდა სჭეროდა ხელში, რომელიც დღეს დაკარგულია. საერთოკომპოზიციურ სურათში ეწერება მცენარეული ორნამენტებით შემკული აქტივოლტი, სხვადასხვა ფანტასტიკური ცხოველის, ფრინველისა და ცენტრში მოთავსებული ექვსფრთა ქერუბინის გამოსახულებებით. ვისოკი დეჩანის რელიეფი, განკითხვის დღეს ქრისტე მსაჯულის კაცობრიობის წინაშე ღმრთიური დიდებულებით გა-

14 Vardanyan, *The Sculpted*, 2015, გვ. 242.

15 იქვე, Vardanyan, გვ. 245.

16 აქაც თავს იჩენს რიცხვი რვას ესქატოლოგიური მნიშვნელობა. სამყარო შეიქმნა შვიდ დღეში, ხოლო მერვე დღეში, დაუსრულებლ ცხოვრებაში გადასვლა მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ. აღნიშნული წარმოდგენა პარალელს ჰპოვებს ზემოხსენებულ ვარაუდთან, მერვე საუკუნის შესახებ.

17 ლაბაძე, ბასილი, 2011, გვ. 284.

მოჩენას გადმოსცემს. რელიეფის იდეურ-კომპოზიციური ჩანაფიქრი და მონუმენტურობა, ნიკორწმინდისა და სვეტიცხოვლის თეოფანიასთან ჰპოვებს პარალელს.

დასავლეთ ევროპაში, მილენიუმის შესრულება დიდ შიშთან იყო დაკავშირებული. ცნობილი იყო სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული გამოთვლები, სამყაროს კოსმიური აღსასრულის თარიღთან დაკავშირებით, რაც უკვე ვახსენეთ სტატიის დასაწყისში. ათასწლეულის შესრულებამ და მასთან დაკავშირებულმა ქრისტეს მეორედ მოსვლის „ფუტმა“ ლოდინმა, არათუ გაანელა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი ესქატოლოგიური თეორიების მიმართ.

აპოკალიპტურმა თემებმა საოცარი მასშტაბი შეიძინა შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ტაძრების ტიმპანების რელიეფურ კვეთაში. მედიევალური ცოდნა უკანასკნელი ჟამის შესახებ, მრავალფეროვანი მოტივების შემცველი მონუმენტური თხრობითი ციკლების სახით განიფინა კათედრალების გრანდიოზულ ფასადებზე. შუა საუკუნეების მანძილზე დასავლეთევროპაში მომხდარი სტიქიური უბედურებები, მიწისძვრები, შავი ჭირის ეპიდემია, შიმშილობა, მასშტაბური ომები ასოცირდებოდა ღმერთის გზავნილად, გაფრთხილებად კაცობრიობის მიმართ. იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და ბუნებრივი კატაკლიზმები ხელს უწყობდა სამყაროს აღსასრულის მოახლოების შეგრძნებას. დასავლეთევროპული „დღე განკითხვის“ კომპოზიციაში დემონური და პერსონიფიცირებული მხატვრული სახეების ჩამოყალიბებაში, თეოლოგიური აზროვნების გარდა, წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების ფოლკლორულ ნაკადსაც.

განსაკუთრებული უხვსიუჟეტიანობით გამოირჩევა კონკის სან-ფუას (Sainte Foy de Conques) ტაძრის ტიმპანი (XI-XII სს.), სადაც ქრისტესა და მესაყვირე ანგელოზების ქვემოთ, სიკვდილისშემდგომი ცხოვრება და სხვადასხვა ცოდვისთვის დასჯის ეპიზოდებია წარმოჩენილი [სურ. 7]. მუასაკის წმ. პეტრეს კათედრალის (XII ს. II ნახ.) ტიმპანის კომპოზიცია, პირიქით, ლაკონურია – ქრისტე აპოკალიპტისის ოთხხატეულთან, ანგელოზებთან და აპოკალიფსისის 24 უხუცესთან ერთად, იოანეს გამოცხადების ერთი პასაჟის ილუსტრირებაა. შედარებით გავრცობილ სურათს ვხედავთ არლის (XII-XV სს.), შარტრის (1145-1155), ბამბერგის (XII ს. ბოლო) ტიმპანზეც, რომელიც მიცვალებულთა

აღდგომისა და სამოთხის სცენებსაც ასახავს. მენალარე და სულელების მწონავი ანგელოზის ფიგურებთან ერთად, ჯოჯოხეთი და სამოთხეა გამოქანდაკებული პარიზის ღმრთისმშობლის ტაძრის (XII-XIII სს.) [სურ. 8], ოტენის (XII ს.), ამიენის (XIII ს.) კათედრალების ფასადებზე. თითოეული აღნიშნული თემა, პორტალებზე ციკლებად არის განფენილი და უამრავ ეპიზოდს შეიცავს, ამიტომ დასავლეთევროპული ტაძრების პორტალების აპოკალიპტური შინაარსი და ვიზუალი ძალზე შთამბეჭდავია, მათი დეტალურად განხილვა შორს წავგიყვანს.

ზემოჩამოთვლილი რელიეფების კომპოზიციური ცენტრი, იკონოგრაფიული ტრადიციის შესაბამისად, აღსაყდრებული ქრისტეა, რაც ქართული მაგალითებისთვისაც ძირითადი ბირთვია. დასავლეთევროპული ტიმპანების ვრცელი კომპოზიციები, აღმოსავლეთქრისტიანული ნიმუშების მოკლე, ლაკონურ რედაქციებს უპირისპირდება და მონუმენტური ფერწერის მაგალითებს უახლოვდება. ქართული მხატვრული აზროვნება „დღე განკითხვის“ ასახვისას, მთავარ მოვლენად მიიჩნევს ანგელოზის საყვირით გაცხადებულ ქრისტე-მსაჯულის თეოფანიას, რომელსაც უმორჩილებს დანარჩენ ესქატოლოგიურ მოტივებს. ევროპულ მაგალითებში თითოეული სიუჟეტი თანაბარმნიშვნელოვანია. ვრცელი, უხვსიუჟეტიანი რედაქციები მორწმუნე ადამიანს უკანასკნელი ჟამის და განკითხვის დღის ყოვლისმომცველ სურათს უშლის თვალწინ.

ამრიგად, სამყაროს აღსასრულის მოლოდინი იყო საყოველთაო და ყოვლისმომცველი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქრისტიანოში. აპოკალიპტური აზროვნება ქრისტიანული სამყაროს რელიეფურ ხელოვნებაში განკითხვის დღის, საშინელი სამსჯავროს თემებით გამოვლინდა და ესქატოლოგიური ლიტერატურის გარდა, საფუძვლად ედო ის გლობალური კატასტროფული მოვლენები, რომლებიც სხვადასხვა დროს თავს ატყდებოდა და აშფოთებდა კაცობრიობას. შიში ათასწლეულის შესრულებისა და სამყაროს აღსასრულის გამოთვლილი თარიღებისა, შუა საუკუნეების ადამიანში სულის გადარჩენაზე ფიქრს აღძრავდა და შემოქმედებაშიც აისახებოდა. ყველაზე მთავარი და საყოველთაო მანინ „კაცად-კაცადისი“ აღსასრულის მოლოდინი იყო, რომელიც ყოველ წამსაა მოსალოდნელი. ეს იყო ის იმპულსი, რომელიც იძლეოდა ბიძგს შესაბამისი კომპოზიციების შექმნისა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბუსერიძე ტ., თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს: ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ, სს „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 1998. გვ. 12- 57.
- კეკელიძე კ., ესქატოლოგიური მოტივები ძველს ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში, ჩვენი მეცნიერება, 1923, N 1, გვ. 59-64.
- ლაბაძე რ., „ბასილი ახალის“ ცხოვრება და აღმოსავლურ-ქრისტიანული ტრადიცია, ბიზანტიოლოგია საქართველოში 3, N I, თბ., 2011, გვ. 282-293.
- ოჩიკიძე ქ., მოსაზრებები სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფსადის ანგელოზთა რელიეფებზე და მათი თავდაპირველი ადგილის თაობაზე, „ACADEMIA“ N 6, თბ., 2017-2018, გვ. 92-103.
- რუხაძე გრ. (შემდგენელი), გრიგოლ ღვთისმეტყველის „თქმული დღისა მისთვის მეერგასისა, რომელ არს მარტვლიაჲ“.
- სილოგავა ვ., ოშკი - X საუკუნის მემორიალური ტაძარი, თბილისი, 2006.
- ჭელიძე ე. (შემდგენელი), იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ“. წელი მითითებული არ არის.
- Hall C. A., Before the Apocalypse: German Prints and Illustrated books, 1450-1500, Harvard University Art Museums Bulletin, Vol. 4, N 2, 1996, pp. 8-29.
- Magdlino P., The Year 1000 in Byzantium, Byzantium in the Year 1000, ed. by P. Magdalino, Brill, Leiden, Boston, 2003, pp. 233-270.
- Vardanyan E., The Sculpted Dome of Horomos Monastery Zamatun: An Armenian Apocalypse, Horomos Monastery: Art and History (Edited by Edda Vardanyan), ACHCByz, Paris, 2015, გვ. 237-300.
- Максимовић Ј., Српска Средњовековна Скулптура, Нови Сад, 1971.
- Покровский Н., Страшный Суд в памятниках византийского и русского искусства, Труды VI археологического съезда в Одессе. т. III. Одесса, 1887, гв. 285-381.
- Покровский Н., Очерки памятников христианской иконографии и искусства, С-Петербург, 1900.
- Риклин М., Apocalypse now. Философия после 11 сентября, Отечественные записки, N 3 (4), 2002. <https://strana-oz.ru/2002/3/apocalypse-now-filosofiya-posle-11-sentyabrya> (ბოლო ნახვა 04.10.2022).

ილუსტრაციები გამოყენებულია შემდეგი ვებ-გვერდებიდან:

4: A quest for authenticity, truth and the origins of the world. Aravot - Armenian News, 2023

<https://www.aravot-en.am/2020/02/22/250681/>

#5: Успенский собор во Владимире. 2023

<https://travel.riamo.ru/napravleniya/gorkovskoe/uspenskii-sobor-vo-vladimire>

#6: Visoki Serbian orthodox monastery, Decani, dreamstime, 2022 <https://www.dreamstime.com/stock-photo-visoki-serbian-orthodox-monastery-decani-kosovo-world-heritage-listed-image47356985>

#7: flickr, 2010. <https://www.flickr.com/photos/martin-m-miles/5103302956>

#8: By RicardMN Photography. Fineartamerica, 2019. <https://fineartamerica.com/featured/notre-dame-de-paris-tympanum-of-the-last-judgment-ricardmn-photography.html>

THE JUDGEMENT DAY PARADIGM IN THE RELIEF SCULPTURE OF EASTERN AND WESTERN CHRISTIAN CHURCHES

Ketevan Ochkhikidze

Keywords: *eschatology, Judgement Day, Apocalypse, global event, façade sculpture, relief composition, Western European tympana*

The plethora of eschatological teachings found in the bosom of Christian thought have given rise to the shaping of the composition of Judgement Day, the most expressive in Christian art.

Throughout the Middle Ages—in times of global calamities, natural disasters, wars, or epidemics, also at the turn of the millennium or centuries—the eschatological anticipation of the end time would surge, being expressed in art through the emergence of the motifs above. Despite the Gospel narrative that no one knows the time of Day of Judgement, the theological literatures of Christian countries, at some point, started pinpointing dates of the world’s cosmic end based on particular calculations.

The period around the turn of the millennium (10th-11th centuries) marks the creation of relief images celebrating the topics of the Second Coming and Last Judgement in Georgia, namely at Joisubani, Skhieri, Artaani, Svetitskhoveli, Nikortsminda. The anxious attitude toward stepping into a new century in European art persisted through the Middle Ages and into the 20th and even the early 21st centuries, given the global tragedies plaguing this period. Declared in 2020, the global pandemic, and the universal state of affairs shaped by it, revived apocalyptic sentiments and intensified the anticipation of the end of the world.

Created in the Middle Ages under the circumstances described above, the façade sculptures on the topic of Judgement Day found in Eastern—Georgia, Armenia, and Eastern European, that is, Slavic—and Western—France, Germany, Spain, and others—Christian countries feature compositional and ideational emphases clearly illustrating the approach of the two Christian world toward the Apocalypse as an event of universal proportions. Based on studying relief samples, it becomes evident that the Second Coming of Christ as the universal Christian dogma—along with the Last Judgement and its eschatological meaning—is discerned differently and expressed through idiosyncratic artistic and compositional structures in both cases.

The interest toward apocalyptic themes, and return to them, are characteristic of more than one period in human history. The anticipation of the Second Coming grew especially intense at the turn of centuries and the millennium—in line with the Gospel narrative (Mark 13)—as various global calamities, natural disasters, wars, epidemics, and different types of trials and tribulation arose to befall one nation or another under particular historical circumstances. Along with the reasons above,

the advent of the year 1500 revived the apocalyptic fear of the end of the world in Western Europe¹. This inspired The Apocalypse, a famous series of engravings created by Albrecht Durer in 1498. Besides earlier eras, equally noteworthy in this context is the relatively recent past. In the first half of the 20th century, for example, a return to the themes of the Apocalypse is found in the works of many European thinkers engaged in various branches of art, such as F. Nietzsche, T. Mann, M. Bulgakov, O. Mes-

1 Hall, *Before*, 1996, 83- 9.

